

572
1951

საქართველოს
ბავშვთა
საზოგადოებრივი
სამსახური

დილა

აუვაფი, ტურფი ქვევინავ,
იღვინე, ქართველთ მსარეო,
და შესე, ქართველო, სწავლითა
სამსობლო გაასარეო!“

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
გოველთეიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის



№ 7
ივლისი
1951

ნორჩ მეზღვაურთა სიმღერა

გვიყვარს, როდესაც აფრები
არნივებივით მიჰქრიან,
და ამ პატარა ხედებით
ჩვენც ვიმორჩილებთ სტიქიას.

გვიყვარს, როდესაც ზღვის ზვირთებს
გადავუქროლებთ სიმღერით.
ზღვა დაღად გადაშლილია,
უსაზღვროა და ცისფერი.

გვიყვარს, როდესაც ცა გვაყრის
ვარსკვლავებს ნაპერწკლიანებს,
და მთვარე სადღაც, ნაპირზე
შუქურასავით ბრიალებს.


გვიყვარს, როდესაც ხომადღებს
ტალღები ეხეთქებიან,
და ირგვლივ აზვირთებულნი,
ცადაზიდული მთები.

გვიყვარს, როდესაც უეცრად
გულზე ფრთას გაგვკრავს თოლია.
მუდამ მღელვარე ტალღები
ჩვენი გულები გვგონია.

ნიგნებიც გვიყვარს, თან ზღვაზე
ზვირთები გვემორჩილება,
ერთი ფიქრი გვაქვს—სამშობლოს
ჩვენც გავეზარდოთ გმირებად.

გვიყვარს, როდესაც აფრები
არნივებივით მიჰქრიან,
და ამ პატარა ხედებით
ჩვენც ვიმორჩილებთ სტიქიას!

იოსებ ნონუშვილი
ნახატი ვ. ჯაფარიძისა



4994



მთარ ჩხაიძე

ნახატი ალ. ზანძელაძისა



ზურია

ირგვლივ ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა. უზრუნველად დახტოდნენ, უზრუნველად იცინოდნენ პატარები. კარგი დარი იღვა და შეჰხაროდნენ კარგ დარს, შეჰხაროდნენ ერთიმეორეს. შინ შესვლა არავის აგონდებოდა, არავის მიაჩნდა საკმარისად იმდენი ხტუნვა და სიცილი-კისკისი; რა თქმა უნდა, არც ზურიას მიაჩნდა საკმარისად, — განა სხვებზე ნაკლები ბიჭი იყო?!

მაგრამ დედა არ მოეშვა, — გინდა თუ არა, გეყოფათ, — ხელჩაკიდებული, თითქმის ძალისძაღვად შეიყვანა შინ.

რას იზამდა პატარა ზურია, დედას გაუგონა, ყველაფერი დაუჯერა:

— მაგიდასთან დაჯექი! — უთხრა დედამ.

ზურია მაგიდას მიუჯდა.

— აიღე წიგნი! — გაისმა ისევ დედის ხმა.

ზურიამ წიგნი აიღო, მაგრამ დედამ მხოლოდ წიგნის ხელში აღება არ აკმარა:

— გადაშალე!. გაკვეთილი ისწავლე!..

ზურიამ პირველი სტრიქონი როგორც იყო გარკვევით წაიკითხა, მეორე თით-

ქოს გაბუნდოვანდა, მესამე სულ დაე-
კარგა, სხვა სტრიქონებში გაებნა, დანა-
რჩენი სტრიქონებიც ერთიმეორეში
აერია.

ასე არ დამართებოდა ზურისას, კარგი
დარი რომ არ ყოფილიყო, ბავშვებს
რომ არ ესტუნათ და არ ეთამაშნათ გა-
რეთ. ზურისასაც გარეთ ეწეოდა გული,
თამაში და ნავარდი სურდა. მაგრამ დე-
დამ თქვა: გეყოფაო და ზურისამაც ზურ-
გი შეაქცია ფანჯარას, ყურებზე თითები
დაიკო, ხელახლა დაიწყო კითხვა, მაგ-
რამ ისევ მონავარდე ბავშვები უდგნენ
თვალწინ.

დაღონდა ზურია... კითხვიდან არაფე-
რი გამოდიოდა, ამჯობინა, რომ თავი
დაენებებინა, მაგრამ იცოდა ზურისამ
დელა გარეთ არ გაუშვებდა. რა ელონა
ზურისას?! დაიწყო წიგნის ფურცელა,—
ხან თავიდან, ხან ბოლოდან. აკვირ-
დებოდა სურათებს. ზოგ ფურცელზე
სურათები არა ხედებოდა. არ მოსწონ-
და ის ფურცლები, და აი, მოიფიქრა,
წიგნი შეეცხო თავისი დახატული სურათე-
ბით. ამ „აღმოჩენამ“ ისე გაახარა, რომ
ზურგმეჭკევეა და ყურზე თითის დაცობა
აღარა სჭირდებოდა, თითქოს აღარც
არაფერი ესმოდა, ვეღარც ხედავდა მო-
ნავარდე ბავშვებს.

ზურისამ ფერადი ფანქრები მოიმარჯვა
და დაიწყო წიგნის დასურათება. ჯერ
მშვიდობის მტრედი დახატა, მერე ტრა-
ქტორი, კომბაინი, ექსკავატორი, ელსა-
დგური სარწყავი არხი, ქარხანა... ასე
მოჰყვა და შეავსო უსურათო ფურცლები.

აბა, რაღა თქმა უნდა, რომ ზურისას
სურათები. ნამდვილ სურათებს არა ჰგა-
ვდა! ეს იყო რაღაც კრელ-კრელი ხაზე-
ბი, რის გარკვევაც მხოლოდ ზურისას
შეეძლო, სხვებზე არცა ფიქრობდა ზუ-
რია, თვითონ კმაყოფილი იყო, უნდა

ითქვას, რომ მართლა დიდად კმაყოფი-
ლი იყო...

იცოტა დრო და შრომა ხომ არ დას-
ჭირდებოდა ამდენი სურათის დახა-
ტვას?!—დაიდალა ზურია, ხელახლა რომ
გადასინჯა თავისი ნახატები, დარბაი-
სლურად თქვა: მართლაც გეყოფაო!—და
შეგებით ამოისუნთქა. მაშინ უფრო გა-
მომწვევად მოესმა გარეთ მონავარდე
ბავშვების ჟივილ-ხივილი.


ზურისამ წამოდგომა დააპირა. თავი
ასწია, შეხედა პირდაპირ კედელზე მოთა-
ვსებულ ძია სტალინის სურათს.

ძია სტალინი მშობლიური ზრუნვითა
და სიყვარულით დაჰყურებდა ზურისას.
პატარა ბიჭს ნათელი გადაეფინა სახეზე.
ერთ წუთს თვალი გაუსწორა დიდსა და
საყვარელ ადამიანს. მერე დახარა თავი,
დააკვირა თავის ნამოქმედარს, ფერადი
ფანქრებით აქრელებულ სურათს და
უეცრად იგრძნო დანაშაული, აღმური
მოეკიდა, აღარ იცოდა რა ექნა, სად
მიმალულიყო. ბოლოს ისდა მოახერხა,
წიგნს ზედ გადაეფარა და სახე მკლავებ-
ში ჩარგო.

რამდენიმე ხანს ასე იყო პატარა ზუ-
რია, თავი ვერ აეღო, დარცხვენის
ვეღარ შეეხენდა დიდად მოსიყვარულე
მზრუნველი თვალებისათვის. „გინდა ხა-
ტვა ისწავლო, ჩემო ზურია?—თითქოს
ამბობდა ის თვალეები,—კარგია!.. მაგრამ
წიგნი სახატავი რვეული ხომ არ არის?
სახატავი რვეული აიღე და ივარჯიშე!—
რამდენიმე ხნის შემდეგ ზურისამ იგრ-
ძნო, რომ დედის ხელი შეეხო. მხოლოდ
მაშინ წამოიწია, დედას მოეხვია და ტი-
რილით თქვა:

— აღარ ვიხამ, დედიკო, მეტს აღარ
ვიხამ!

დელა გაოცდა, ჯერ კიდევ არ იცო-
და, რა დამართა მის პატარა ზურისას.



ბრიგოლ აბაშიძე

ნახატი შალვა ცხადაძისა

აი, როგორ გავეკაყდი!

აღრე ვლგები, ლოგინში
გორვას როლი ეუნდები.
გაღავეწვიტე ვარჯიშით
გავიკაჟო კუნთები,
ხელებს გავშლი ფრთებივით,
ყირამალა ვბრუნდები...
ნახე ჩემი კუნთები!—
ქვასავით მაქვს კუნთები!
ჩხუბს არავის ეუბირებ,
არვის ვეკინკლავები,

შინდა სჯობდეს სიმაგრით
რკინას ჩემი მკლავები.
რომ ტოლებში არ ვგავდე
მისუსტებულ წიწილას...
ცივა წყლით და ტილოთი
ტანს ყოველდღე ვიზილავ!
შენ რომ გძინავს, მე მაშინ
დილის ვარჯიშს ვუნდები,
აი, ჩემი კუნთები!
ქვასავით მაქვს კუნთები!

ქ ც ი ა

— წალკის მიდამოებში, მაღალი მთის კალთაზე ქარმა ხე წააქცია.

ძირფესვიანად ამოთხრილმა ხემ მიწა ორმოად აქცია.

მთის ფერდობებიდან გამოჟონილმა წყლის წვეთებმა ორმო პაწია ტბად აქცია.

მოვარდნილმა ნიაღვარმა ორმოს გვერდი გაურღვია და ეს ტბა წყარო-ქციად აქცია.

გაიქცა ქცია ხრამ და ხრამ და ხრამებმა ის მდინარე ხრამად აქცია.

მდინარე ხრამმა ქვირიითი თევზად აქცია. გლეხმა ის თევზი დაიჭირა, გემრიელად ჩაახრამუნა და რადგან ის თევზი მდინარე ხრამის შვილი იყო, ხრამული დაარქვა, ამიტომ გვქვია მე და შენ ხრამული.—უთხრა დედა-ხრამულმა პაწაწინა ხრამუნას და კული მოიქნია, რაც იმას ნიშნავდა: ახლა დამეხსენ, მეტი არაფერი ვიციო. მაგრამ ხრამუნა ხრამულს არ დაეხსნა, ის დედის გვერდით მიცურავდა და ტიტინებდა:

წვეთმა ორმო ტბად აქცია, ნიაღვარმა ტბა წყარო-ქციად აქცია, ხრამმა კი ქცია მდინარე ხრამად აქცია, რა ყოფილა ეს ქცია?!

— რაც გაიგე, ის ყოფილა, ახლა დამეხსენ!—შეუტია აბეზარ ხრამუნას დედამ და კული გაჰკრა: ხმა გაიკმინდყო, მაგრამ ხრამუნას გაჩუმება ადვილი როდო იყო.

—ახლა ქცია რად იქცევა?—ჩააცივდა დედას.

— რად და ზღვად!—უპასუხა დედა-ხრამულმა და მაშინვე იწანა:

— ეს რა წამომცდა, აწი კითხვებით თავს მომაბეზრებს; ქცია ზღვად რად არ იქცაო,—რად არ იქცა ქცია ზღვადო,—და ეს დავიდარაბა რომ თავიდან აეც-

დინა, ხრამუნა ალგეთისაკენ გააცურა, შემდეგ კი—მტკვრისაკენ.

ბევრი იცურეს, თუ ცოტა, ცურვით დაილაღნენ და ერთ ბრტყელ ქვის ქვეშ კარგა ხნით მოიკალათეს.

ბოლოს დედა-ხრამულმა გადასწყვიტა: ალბათ ხრამუნას ჩემი ნათქვამი დაავიწყდაო და ხრამისაკენ იბრუნა პირი.

იმთავითვე იცნო ხრამუნამ მშობლიური მდინარე და გახარებულმა დედას უთხრა:—ალბათ ქცია უკვე ზღვად გადაიქცა?!

—ალბათ!—უპასუხა დედამ და აღარ იცოდა, რა ექნა: თავს მომაბეზრებს, რაღა მეშველებო, ასე გაიფიქრა და ხრამუნას უკან წაყვანა დააპირა, მაგრამ ხრამუნა უკვე კარგად მოზრდილი ხრამული გახლდათ და მას გზა-კვალს ადვილად ვერ აურევდით.

— დაცა, დაცა, რაღაც უნდა გითხრა!—მიამახა დედამ დაწინაურებულ ხრამუნას, მაგრამ ხრამუნა ისე შორს იყო, რომ დედის სიტყვები ვერ გაიგონა, თვალდახუჭული მისცურავდა დედა-ხრამული, სირცხვილით თვალს ვერ ახეიდა:

—როგორ გამოვუტყუდე შვილს, ტუუილი გითხარიო,—ამას ფიქრობდა დედა-ხრამული, როცა ხრამუნა მის გვერდით განჩნდა და შეეკითხა:

— დედა, ქცია ზღვად რამ აქცია?!

— ალბათ მასხრობს, ქცია ზღვად როგორ იქცეოდა?—გაიფიქრა დედა-ხრამულმა, როცა ხრამუნამ კვლავ შესძახა: დედი, დედი, შეხედე ნავეებს, რა კობტად დაქანაობენ!

—მართალია, შვილო, სირცხვილისაგან თვლი არ გამეხილება, მაგრამ უნდა გავიტყუდე, სიმართლე უნდა გითხრა,—წაილულლულა დედა-ხრამულმა და თვალეები გაახილა...

— რა უნდა გეთქვა, დედი!—შეეკითხა

ხრამუნა გაკვირვებისაგან თვალებგად-
მოკარკოლულ დედას.

— ის უნდა მეთქვა, შვილო, რომ დე-
და თევზს ყოველთვის დაეჯერება,
ხომ გუფუნებოდი, ქცია ზღვად იქცე-
ვაო, — უპასუხა დედამ და ვეება წყლის
საგუბარს რომელიც თვალუწვდენ ზღვა-
სავით ლივლივებდა, ამაყად გახედა.

— არაფერი გცოდნიათ, — ჩაერია დე-
და-შვილის საუბარში გრძელუღოვან
უცხო თევზი და დასძინა: ქცია თვითონ
კი არ იქცა ზღვად, აღამიანებმა დააგუ-
ბეს და ზღვად გადააქციეს. ჩვენმა ქციამ
კი ეს ხრამები ვარსკვლავებით გააშუქა.

— როგორ, როგორ?! — გაიოცეს დე-
და-შვილმა.

— აი, როგორ, — უპასუხა გრძელუღოვ-
ანმა და ისინი ჯერ კაშხალთან მიაცურა,
შემდეგ უზარმაზარ კბილებსაქვარცხელას-
თან, სადაც წყლის ნაკადი მარგალიტე-
ზად იფშვებოდა.

ბევრი იცურეს ზღვასავით ვრცელი
საგუბრის ტალღებში დედა-შვილმა, და
მანც ვერაფერი გაიგეს; ხოლო როცა
მზე ჩავიდა და ხრამქვის ელნათურები
ვარსკვლავებივით აკიაფდნენ, თევზებმა
ჯერ იფიქრეს, ალბათ ზეცამ მიწაზე გად-
მოინაცვლაო, შემდეგ ისეთ აღტაცებაში
მოვიდნენ, რომ წყლიდან სამჯერ ამო-
ხტნენ. ხრამუნამ ხომ იმ ღამეს დედას
ტიტინით გული გაუწყალა:

წვეთმა ორმო ტბად აქცია.


ნიაღვარმა ტბა წყარო-ქციად გადააქ-
ცია.

ხრამებმა ქცია მდინარე ხრამად აქცია.

ქციამ ელსადგური აამუშავა და ღამე
დღედ აქცია.

რა ყოფილა ეს ქცია!

გაიძახოდა ის და ხრამქვის ელნა-
თურებს მოხიბლულ მზერას ვერ აშო-
რებდა.



მსილ ლაშქარშილი

დილა საბავშვო ბაღში

დილა არის, რა დილა!
დილა ნათელმზიანი!
გიას მოსდევს სიმღერით
მზია ხუჭუჭთმიანი.

დილა არის ღამაზი,
მზიარული, ცქრიალა!
იქით თემო თამაშობს,
აქეთ დარბის ციალა...

სიხარულით ალესიდი
ეს საბავშვო ბაღია,

აქ ყოვედი ყვავილი
კაკლუცი და ღალია.

მაღე ღაიზრეებიან
ღალად ფრთავაშიდეები,
გახეებიან სამშობლოს
ღირსეული შვილები.

ყვავილები ხარობენ
ცვარით ზარღაზანიდნი.
სურათიდან უღიმიით
საყვარელი სტიდინი!



ირაკლი აბაშიძე

მომკვლს ეძახის თავთავი

მომკვლს ეძახის თავთავი
ნახატი ოქროს კადმიოთა,
ნიავეთ ნაიდერსები
გაზრდილი დიდის ნამიოთა.

ცხელი მზით გაფიცებული,
ციურ მნათობის სხივითა,
დრო და დრო ფიცხად ნაბანი
საგაზაფხულო წვიმიოთა.

გაზრდილი, დანწიფებული
მინის ნაყურით ტკპილითა,
ტოროლას საგაღობელით
მტრედების მოძახილითა.

მომკვლს ეძახის თავთავი
მხუნელსა, მთესველსა, მზრუნველსა,
ყანის მამას და შემოქმედს
ბედნიერ კოდმურნესა.

ისმის მანქანის გუგუნო,
ზოგან ჭრიალი ურმისა
ოქროს მარცვლით ივსება
ბელელი კოდმურნისა.

ნახატი ალ. ზანძელაძისა



ანდრო თევზაძე

ნახატი ზ. მექმარიაშვილისა

ამხანაგების წერილი თამაზს

ჩვენო ძმაო, თამაზი,
გვინდა შენთან თამაში,
მერე მოგვხმარებით,
ჩურჩხელების ჭამაში.

დღეს რომ ბებო გესტუმრა
გავსებული კალათით,
მიტომ გამოგიგზავნეთ
ეს პატარა ბართი;

მარტო უნდა შეჭამო
ამოდენა ვაშლები?
ჩვენ შორიდან გიკვრდეთ
მეგობარი ბავშვები?..

დაგელევა ეგ ვაშლიც,
ეგ ჩირიც და ჩურჩხელაც,
შენს მადას და სიხარბეს
რამე გადაურჩება?

მერე ბებოც შინ წავა
და ბიჭს ჩვენს არ დამჭერეს
იმ ცარიელ კალათთან
მარტოს რა გაგაჩერებს?

ძლიერ მოგეწყინება,
გახსნი დაკეტილ კარებს,
სათამაშოდ გამოხვად,
მაგრამ არ მიგვიკარებთ!

ჩვენ არ გვიყვარს ასეთი
ძუნწი ადამიანი;
თუ არ გინდა თავის თავს
მოუტანო ზიანი.

მუდამ უნდა ცდილობდე
მეგობრობის დანერგვას,
ჩვენ მაშინაც გიყვარდეთ
როცა ბევრი რამე გაქვს!



ბორის ჩხაიძე

ნახატი გ. ბელეცკოაბს

ირმის წყარო

უმთვარო ღამეა. ფრინველები ბუდეებს ვეშვარვიან. თავები ფრთებქვეშ ამოუღვიათ. მზიარული ციყვებიც ფულუროვებში ჩამძვრალან.

მხოლოდ წყარო არის გულმაგარად; სიბნელეში ირმის წანწყარი უფრო მკაფიოდ ჩსმის. აფხიზლებს გარშემო მდებარე ლოდებს, ბუჩქებს და ქალებს.

— ჩემო მშვენიერო წყარო, — ვეუბნები ჩუხჩუხას. — მასვი შენი წყალი, სტუმრალაც მიმიღე, მომიყუვი შენი თავგადასავალი!

— აგერ, მანდ, ხმელ ბალახზე წამოწეჭი. ყური მომიგდე! — მეუბნება წყარო, — ყველაფერს მოგყუვები, მაგრამ ჯერ ეს მითხარი, საიდან მოხვედი?

— თბილისიდან.

— ვიცი! — ჩუხჩუხებს წყარო. — ძალიან ძველი ქალაქია თბილისი.

როგორც კი მიწილამ ამოვდივარ, პირი თბილისისაკენ მაქვს. ჩავირაკრაკებ ჩვენს ქალას, ვუერთდები არაგვად ქცეულ მთის წყაროებს. დავძახებთ მაცურულს და ხმაურით ჩაფუხტებით მუხრანის, საგურამოს ველ-მინდვრებს. აღარავის შეუძლია ჩვენი შეჩერება. მდინარე მტკვრისა ვეხატარება მხოლოდ. ეს მდინარეა ჩვენი შემავრთებელი, საიდან საღ მოსული წყაროები აქ ვიყრით თავს. ნეტავ გაჩვენა,

როგორ სიხარულით ვკოცნით აქ ერთმანეთს ჯავახეთიდან, შავშეთ-ერუშეთიდან, არსიანის მთებიდან, ლიხიდან, მოსული ძმები და დები; ხელპირს დავბანთ მცხეთას, ზაჰესის ტურბინებსაც ჩავუმღერებთ, ბორბლებს ავუბრუნებთ. დედაქალაქს სინათლეს ვავუჩაღებთ.

— ირმის წყაროვ, რაც მიაშბე, ეს სულ ძველი!

— მართალია! — ისევ ჩუხჩუხებს ირმის წყარო. — გამიტაცა ჩემი ძველი გზის აღწერამ, სულ ჩქარა, ახალი გზით სიარული მომელის. ამ ახალი გზის გაკვლევაში აღამიანებო მომეხმარნენ. აი, მისმინე: ჟინვალში ყოფილხარ?

— რალა თქმა უნდა!

— მაშ თეთრი და შავი არაგვი გეცოდინება! ჟინვალში, შავი და თეთრი არაგვის შესართავის დიდი რიყეა. იმ რიყეში ვიჟონები ძალიან ღრმად. ვმოგზაურობ ქვესკნელში. ქვიშნარში ვიწმინდები, ანკარა წულად ვღებები. მერე ისევ მომენატრება ცისა და მზის დანახვა და ირმის წყაროდ ამოვდივარ ბუნაჩაურის ქალაში. ერთხელ, აქ, გეოლოგები მოვიდნენ. ჩემი წყლით ჭიქა აავსეს. გახედეს — გამოხედეს, დალიეს, გასინჯეს. „მშვენიერი წყალიაო!“ — თქვეს; „სწორედ ასეთი წყაროს წყალი სწყურიათ თბი-

ლისსა და რუსთავსაო“—დასკვნეს. მე რუსთავი და თბილისი რომ გავიგონე, სიხარულით შევხტი და ლოდს თავზე გადავევლე. ვიცი, როგორ არ ვიცი რუსთავი, აქ აღამიანები ფოლადს აღდუღებენ, თუჯს აღნობენ, რკინას გლინავენ. „ამას რალა ჯობია მეთქი“ გადავწყვიტე.

ყველაფერი გავუმხილე გეოლოგებს: საღ ვიბადები, საიღან მოვდივარ, რამდენი ვარ, როგორიცა ვარ.

ჩქარა მშენებლებიც მოვიღნენ. იმათ თან მოიტანეს ღიღი მანქანები: ექსკავატორები, ბულდოზერები, კომპრესორები. იმ ქალაზე დაბანაკდნენ, საღაც მე ამოჩუხჩუხებ და ბულაჩაურს რომ ეძახიან. ჯერ ელექტრონის საღგური ააგეს; მთლად გაანათეს არემარე. მერე უამრავი ქაბურღილები ამოიყვანეს. დაღგეს ბეტონშეღები—საღღვებღებს რომ ჰგვანან. მოზიღეს ცემენტი. რუსთავმა გამოზავნა სატუმბი მანქანები, ათასაიღი მიღები. ოსტატებმა ამოაშენეს ქაბურღილები, ჩაღგეს შიგ სასრუტავები. თხრილებში მიღები ჩააწყვეს და შეაღღეს.

შორს გაიშალა სამუშაოები.

ახლა მეცა და ჩემი მეზობელი წყაროებიც ღიღ სამზადისში ვართ. ძნელი მოსაყოღია, თუ რა სიციღ-კისკისით, ძიძგიღით, ხმაურით ვხვღებით აქ ქაბურღილებიღან მოსული წყაროები. კიღვე კარგი, რომ აქ სულ ფოღღადის დანაღგრებია, თორემ ჩვენს ხვევნა-კოცნაში აქ

ყველაფერი დაიღვეშბოღა, ნიაღვრად იქცეოღა, წაიღვეშბოღა. ხუმრობა ხომ არაა? თბიღისისა და რუსთავისაკენ მიღგვეჩქარება. ერთმანეთს ვასწრებთ, წინ მივიწვეთ. ჩქარა გვინღა მივიღდეთ საყვარელ ქაღაქებში. ათასი საქმე გვაქვს იქ: ღაზგების მშენებლობაში უნღა მოვეხმაროთ ქარხნებს, იქ მიღღვრებს და ქაღაქის ბაღებს სიციღხლე უნღა მოვფინოთ, მუშებს უნღა დავეხმაროთ აბრეშუმის ამოხვევაში, ბამბა და მატყლიც უნღა დავართათ. პატარა ელექტრონის ქურაზე დაღგმული ჩაიღანი რაა და ისიც კი უჩვენოღ არ ვარგა. ყვეღაზე უფრო რუსთავის ფოღღადის საღღღ ღუმეღებისაკენ მიღვიწვეს გული. რამდენი ერთი ჩამოვთვალო, საღაც მიღვეჩქარება და მიღვეღიან. „მანქანები“ მოვღენ, მოიტანენ ღულაბს, ცემენტს, რკინის მიღებს, ხრეშს. დაჰყრიან. ტანის გასაბანღ არაგვემი ჩამოვღენ. ჩვენც შემოვეხვევით. გავბანთ, გავასუფთავებთ, გავაკრიაღებთ. ისინი კი გვიამბობენ:

— ღღეს ინჟინრებმა კიღვე ერთი გვირაბი გაახეღეს მეორე მხარეს!..

— ღღეს სამიჯნო კამერის მოსაპირკეთებელი თეთრი მარმარიღო მოვიტანეთო.— და ჩვენც გვიხარია.

ამ ბეღნიერ ღღის მოღღღინში ვართ ახლა.

ამ ღღიღან ახალი გზით ვივღით!





ილია სინარულიძე

ტყუპი თოჯინები

ნახატი ვ. ტორთაძისა

ტყუპი თოჯინები მყავს,
არ გინახავთ თქვენ განა?!
მოდი, ერთი შეხედეთ,
თუ ერთმანეთს არ გვანან!

თვალად, ტანად ორივე
სულ მთლად თანატოლია;
ნეტავ ტყუპი ასეთი
ჯერ თუ ვისმე ჰყოლია?!

სიარულიც ერთი აქვთ,
ყოფაქცევა, ზნე-ჩვევა;
მე დედა ვარ, მაგრამ რა?
მეც კი მიჭირს გარჩევა!

ერთმანეთს რომ მთლად ჰგვანან,
თვითონაც კი ხვდებიან,
დადგებიან სარკის წინ
და სიცილით კვდებიან.

ტყუპები რომ მარტუქს,
მეზობლებმაც იციან;
შეხვდებიან, ეტყვიან:
„ველარა გცნობთ, ბიძია,
რომელი ხართ, რომელი,
ველარ გამოვიცანით;
წადით, დედას უთხარით,
რომ დაგადლოთ ნიშნა!“

ერთს თინიკო დავარქვი,
და მეორეს — მაყვალა;

მაყვალას თუ ავიყვან,
თინასაც სურს აყვანა;

მაყვალა რომ დექს იტყვის,
თინაც გაიმეორებს,
რასაც ერთი აკეთებს,
მას აკეთებს მეორეც;

ყველაფერში ერთმანეთს
როგორ ეჯობებიან. —
ერთად დაიძინებენ,
დილას ერთად დგებიან.

მათი ჩაცმა-დახურვა
არის განაშანა;
ტანსაცმელი ორივეს
ერთნაირი აცვია;

ფეხსაცმელიც ერთგვარი,
ერთნაირი ქულები,
იმათ მორთვა-მოკაზმვას
მთელი დილა უწელები!

მაგრამ ჩემი ცეცქები
ჭკვიანები არიან;
საქმე, წასვლა-წამოსვლა
უყვართ, გაგინარიათ!

რომ იცოდეთ ერთმანეთს
როგორ უფროსი იდებიან?!
ჩემი ტყუპი ცეცქები
მოყვარული ეძია!

ე ა გ ა რ ჯ ე ნ ი

ოთარი თავის პატარა ბოსტანში ფუსფუსებდა: ახალდაბარულ მიწის ქვეს აცლიდა, მიწის გარობებს პატარა ბარით ფშენდა და კვლებს ასწორებდა.

ოთარმა მუშაობა დაამთავრა. ის იყო სახლში უნდა შესულიყო, რომ თვალი მოჰყრა კიშკართან მიმავალ კაცს, რომელიც უცებ შეტორტმანდა, და რომ არ დაეცემულიყო, იქვე კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

ოთარმა კართან მიიბინა: კიბეზე ჩამომჯდარ ახალგაზრდა კაცის წინ გადატეხილი ყავარჯენი შეამჩნია.

— ეჰ, ძმობილო! ცუდ დროს მიმტყუნა ჩემმა მეგობარმა, — შესჩივლა უცნობმა ოთარს და ყავარჯენზე მიუთითა.

ოთარს ძალიან მოეწონა ეს ძია, რომელსაც ტყვილი აწუხებდა და მაინც იღიმიებოდა.

ბიკი შეწუხებული იდგა, აღარ იცოდა, რა ექნა, რით დახმარებოდა ამ კაცს... მერე უცებ სახე გაუბრწყინდა, სწრაფად შეირბინა. სახლში და ისევ მაღე გამოჩნდა ყავარჯენით ხელში.

— აი, ძია, ეს მამას ყავარჯენია, ამით შეგიძლიათ სახლში წახვიდეთ.

— მამას არ სჭირდება?

— არა, ძია, მამა აღარ მყავს.

— სახლში თუ ჰკითხე უფროსებს? — შეეკითხა უცნობი.

— დედა სამსახურშია.

უცნობი წამოდგა, კოტახანს დაფიქრებულად იდგა, მერე ბიკს მადლობა გადაუხადა.

— აბა, შენი სახელი მითხარი, გულკეთილო ბიჭუნა!

— ოთარი მქვია, ძია!

უცნობი წაიღია.

ოთარი დიდხანს გასტკეროდა ყავარჯენით მიმავალ უცნობს.

დღეა? რას ეტყევი დედა ოთარს, როცა ვერა ნახავს მამის სახსოვრად დარჩენილ ყავარჯენს? გაჯავრდება? შეარცხვენს? — ომში დაღუპული მამა არ გყვარებიაო! მაგრამ ის ძია როგორი ფერმკრთალი იყო; უჭირდა ძიას

და არ დახმარებოდა ოთარი? დედაც, მასწავლებელიც ხომ ყოველთვის არიგებდნენ: გაკირვებულს უნდა დაეხმარო, ხომ დაეხმარა, მაგრამ მამის სახსოვარი?!

სამსახურიდან დაბრუნებულ დედას ცუდ გუნებაზე დახვდა ოთარი. თავჩაქინდრული იჯდა, ვითომ წიგნს კითხულობდა, დედას თვალს ვერ უსწორებდა... დედა მიეფერა თავის ბიჭუნას, სიცხეტე კი გაუსინჯა, მერე გაეხუმრა: ერთდღეში, როგორ დაბრძენებულხარო, და საქმეში გავრო.

ოთარს ვერ გადაეწყვიტა, როგორ გაემხილა დედისათვის თავისი წუხილი... იქნებ გეგონოთ, ოთარს ეშინოდა დედის რისხვისა? არა! — ის ყოველგვარ სასჯელს აიტანდა, თუ დამნაშავე იყო, მაგრამ ისედაც დაღლილი ბრუნდება დედა სამსახურიდან, სახლშიც იმდენ საქმეს აკეთებს. აქ კი ეს უსიამოვნო ამბავი უნდა დახვდეს... ამ ფიქრებში იყო ოთარი, რომ დააკაუნეს, დედამ კარები გააღო.

კარებში ყავარჯენებზე დაყრდნობილი უცნობი კაცი იდგა და იღიმიებოდა. ოთარმა ძიასთან მიიბინა.

— თქვენი პატარა ოთარი ნამდვილი ვაჟაკია! — მიმართა უცნობმა დედას.

გაკვირვებულმა დედამ უცნობი ოთარში შეიწვია. მან მოუთხრო დედას ყველაფერი, შეაქო გულკეთილი ოთარი.

— რატომ შენ თვითონ არ მითხარი, შეილო. მოერიდე განა ჩემ წყენას, გეგონა გაგიჯავრდებოდი?!

ძიამ გამომშვიდობებისას ოთარს მამის ყავარჯენი და ფოტოაბარატი გაუწოდა — ეს ჩემგან გქონდეს სახსოვრად. ოთარმა ძიას ღილი მადლობა გადაუხადა.

დედა-შვილმა გულით სთხოვეს სტუმარს მიეღო სახსოვრად ყავარჯენი, მაგრამ მან უარი განაცხადა: მე უკვე შევიძინე ყავარჯენი, ეგეტე არ იყოს, ყველა სახსოვარზე დასამახსოვრებელი ოთარის გულკეთილობაა, ეს გულკეთილობა ჩემთვის ყველაზე ღირსეული ყავარჯენიაო.



ანა ხახუშაშვილი

ნახატი ვ. ზელდუკაიასი

ხ რ ა ნ ჭ ი ა

წუხელ საბავშვო ბაღში დედოფალებს დიდი მითქმა-მოთქმა ჰქონდათ. ამ თვალმდაბეჭეტელ დედოფალების ხმა არავის გაუგონია, მარტო თვითონ ესმოდათ და ასე ეგონათ, რომ მათი ალიაქოთი ჭერამდე აღწევდა. ეს კი სულ პატარა თინიკოს ლამაზად მორთული ახალი დედოფალას ბრალი იყო. თინამ ბავშვების თხოვნით ის საბავშვო ბაღში დატოვა.

ტახტზე ჩამწკრივებულ დედოფალებს შორის ახალი სტუმარი შუაში გამოკიმულიყო და, ცრტა არ იყო, მედიდურობდა. ზოგჯერ თავის ატლასის კაბის კალთებს დასწვდებოდა და თავისკენ იზიდავდა, არ დამეჭმუქნოს და არ გამი-ტუჭყიანდესო. მისი საქციელი დედოფალებს ძლიერ ეწყინათ და ახმაურდნენ:

— ჩვენ შესანიშნავად გვივილიან ბავშვები, არასდროს ტუჭყიანი ხელებით არ აგვიკვანენ, ტყუილად უკადრისობს ჩვენთან ყოფნას!

— რას ჯავრობთ!—გაიკვირა ახალმა დედოფალამ,—თქვენ ყველანი უკვე მოძველებულნი ბრძანდებით, ტანსაცმელიც გახუნებული გაცვიათ, უნდა მოგერიდოთ, მე თქვენი ტოლი ნუ გგონივართ!

ახალმა დედოფალამ გვერდზე ამაყად გადაი-

წია, თავი ვეღარ შეიკავა, დავარდა, ტახტის ქიმს თავი დაკვრა და ლამაზი საფეთქელი გაიტეხა.


დედოფალები ძლიერ შეწუხდნენ, სტუმარი ერთ ღამესაც ვერ შეეინახეთო. ზოგი იმას ჩიოდა, მისი პატრონი, თინა ძლიერ შეწუხდება და იტირებსო, მხოლოდ განზე გამდგარმა, გრძელნაწნაიანმა დედოფალამ წაიდუღუნა:

— მაშ რა ეგონა მაგ მაკვირალას, განა სულ აგრე იქნებოდა! „ნუ დასცინი სხვასაო— გადაგზდება თავსაო.“

— არა გრცხენია, ფაიფურა, განა ამ დროს ნიშნის მოგება შეიძლება? ეგ ხომ ბოროტებაა!—შეუტრეს აქეთ-იქიდან დედოფალებმა და უცებ გაჩუმდნენ.

კარი გაიღო და დამლაგებელი ქალი დიღინით შემოვიდა. დამლაგებელმა დარაბები გააღო, დილის სინათლე უხვად შემოიჭრა და ჩამწკრივებული დედოფალები კობტად განათა.

— უი, თქვენ რა გითხარით! ყველას ასე შემოუჭყეტია თვალი, თითქოს დილაშედილობისას მუუბნებიანი! გაქრით, გაქრით გოგოებო!—არხინიან ჩაილაპარაკა დამლაგებელმა და ის კი არ იცოდა, თუ ამ დაბეჭეტელთალებიან დედოფალებს თავს რა გადახდნოდათ!



მუკან ლუბანიძე

ნახატები გ. რაინიშვილითა

მ ე რ ხ ი

(ტუზიმიდან)

იზრდებოდა უღრან
და დაბურულ ტყეში,
ირჩეოდა მუხა
ათიათას ხეში.

დაედინათ ოფლი
ნაჯახიან კაცებს,
ახოვანი მუხა
ვიდრე დაბლა დასცეს.

ცხრაუღელი ხარით
ძლივს უცვალეს მხარი,
და უჩვენეს მუხას
სამხერხაოს კარი.

ხერხეს, ხერხეს მუხა
თითქმის ათას ფიცრად,
და ბზრიალა ხერხებს
კბილი დაგბრიცათ.

ხორკლიანი იყო
ეს ფიცრები ყველა,
როცა ჩაიბარა
ღურგლიშვილმა გელამ.

და თბილისელ ოსტატს
უხაროდა, ჩანდა;
მოიმარჯვა ხერხი,
ხუშტარა და რანდა,

დიდხანს, დიდხანს ბურღა
გოლიათი მუხა.

დიდხანს ხერხა ხერხით
და გაკეთდა მერხი...

საქიროა შრომა
თურმე რაოდენი,
საყვარელი მერხი
რომ დამზადდეს თქვენი.





ნახატი ალ. ხანძელაძისა

პატარა თევზების განსაცდელი

ახრიკოული ზღაპარი

ერთ დიდ მდინარეში პატარა თევზები ბედნიერად ცხოვრობდნენ. ისინი ყველგან დასურავდნენ, იჭერდნენ მწერებს და გემურიელად შეექცეოდნენ. მაგრამ ერთ დღეს უბედურება ეწვიათ: ამ მდინარეში კლდესთან დაბინავდა უზარმაზარი თევზი და როდესაც პატარა თევზები იქით გაცურდებოდნენ, გააღებდა პირს და გადასანსლავდა.

ამ უბედურებას მეორე დემატა: იქ, სადაც მდინარე ტყისაკენ უხვევდა, მეორე უზარმაზარი თევზი დაბინავდა. ისიც გააღებდა დიდ პირს და მისკენ მოცურავე პატარა თევზებს სანსლავდა.

საბრალო პატარა თევზები მოემწყუნდნენ ორი უზარმაზარი თევზის შუა, საზრდოს ვეღარ შოულობდნენ და განსაცდელში ჩაყარდნენ.

ბოლოს მიმართეს მარჯვე და მოხერხებულ ბებერ ორაგულოს და უამბეს თავიანთი გაჭირვება.

— ორაგულო, გვიშველე რამე, შიმ-

შილით დავიხოცებით!— შესჩივლეს პატარა თევზებმა.

მარჯვე ორაგული ცოტახანს დაფიქრდა და შემდეგ წამოიძახა:

— ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ, მაგრამ ვინ წავა საზარელ თევზებთან მოსალაპარაკებლად?

— ჩვენ გვეშინია, — წამოიძახეს პატარა თევზებმა.

— მართალია, — თქვა ორაგულმა — მე თვითონ წავალ მათთან.

ორაგულმა სწრაფად გასცურა კლდისაკენ, საზარელ თევზის ბინას მიუახლოვდა და შეჰყვირა:

— ჰეი, ჰეი! დიდო თევზო, მთელი მდინარის ხელმწიფეო, მეორე დიდმა ხელმწიფემ, რომელიც ტყის მხარეს ცხოვრობს, შემოგიფთვალა, რომ ეს მდინარე დასტოვო; მას მარტოს სურს აქაურობაზე ბატონობა.

— როგორ? — გაჯავრდა უზარმაზარი თევზი, — სხვა მდინარე მოვძებნო? ვინ არის ის ხელმწიფე?!

— ის შენზე დიდია და ძლიერია, შენ თუ მას არ ეახლები, მოვა და დიდ ბრძოლას გაგიმართავს,

— კარგი, მე მზადა ვარ ბრძოლისათვის, — უპასუხა უხარმაზარმა თევზმა.

ამის შემდეგ ორაგულმა სწრაფად გასცურა ტყისაკენ მეორე უხარმაზარ თევზთან და შეჰყვირა:

— ჰეი, ჰეი! დილა თევზო, ჩემო ბატონო, მთელი მდინარის ხელმწიფეო! მეორე დიღმა თევზმა, რომელიც კლდის მხარეს ცხოვრობს, მიბრძანა ვადმოგცე, რომ დასტოვო ეს მდინარე, მას მარტო სურს აქაურობაზე ბატონობა.

— როგორ? — გაჯავრდა მეორე უხარმაზარი თევზი, — სხვა მდინარე მოეძებნო? ვინ არის ის ხელმწიფე?! ხელმწიფე აქ მარტო მე ვარ.

— არა, ის შენზე დიდი და ძლიერია, შენ თუ არ ეახლები, თვითონ მოვა შენთან და დიდ ბრძოლას გაგიმართავს.

— კარგი, მე თვითონ წავალ მასთან და გავუხსწორებდი! — დაიყვირა დიღმა თევზმა.

ორაგულმა სწრაფად გამოსცურა თავის მეგობარ პატარა თევზებთან.

— ჩქარა, ჩქარა, მიეკარით მდინარის ნაპირებს; როდესაც მე განიშნებთ, ახტით ქვიშაზე და ბალახებზე!

პატარა თევზებმა სწრაფად გასცურეს ნაპირებისაკენ და დაელოდნენ ნიშანს.

აი, ერთი უხარმაზარი თევზი გამოჩნდა. მეორეც შეხვდა. ორაგულმა პატარა თევზებს ანიშნა და ქვიშაში და ბალახის ძირებში დაიმაღლნენ.

დიდი თევზები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, განიერ კუდებს წყალში ატყაპუნებდნენ და დიდ თვალებს აბრიალებდნენ. ბრძოლა დაიწყო. ეცნენ ერთმანეთს დასაგლეჯად. წყალი სისხლისაგან წითლად შეიღება. ტყის მხარის საზარელი თევზი უფრო დიდი იყო კლდის მხარის საზარელ თევზზე. კლდის მხარის თევზი მაინც მასზე ძლიერი აღმოჩნდა და გადაყლაპა, მაგრამ მისი ყელისათვის ტყის მხარის თევზი ძალიან დიდი გამოდგა, ყელში გაეჩხირა და ისიც დაიხრჩო.

პატარა თევზებს გაეხსნათ გზა. ისინი გამხიარულდნენ და ორაგულთან ერთად ზემობდნენ თავიანთ ბედნიერებას.

ფრანგულიდან გადმოაქართულა ლ. შანშიაშვილმა.

492x

თამარ ლორთქიფანიძე

დამტკრეული დედოფალს საყვედური

თამარ ქალო, გუშინ რად დამტოვე მარტო, ძლიერ მოვიწყინე, უშენობას ვდარდობ!

აღარ მოგწონს ჩემი დამტკრეული სახე, კაბაც დამიგლიჯე, აბა, დაინახე!

გახსოვს, როცა დედამ შენთან მომიყვანა,

იყო დედოფალი — სადმე ჩემისთანა?!

დედას გიძახოდი, ერთად გვეკონდა ბინა, მეც ვხუჭავდი თვალებს, მსურდა დამეძინა.

ახლა სადღაც ყუთში ვგდევარ მარტო ობლად, დამივიწყე სულ მთლად, არ ხარ ჩემს მახლობლად!



ექვსფრთიანი ლოფორი



ჩემს სურათს რომ დახედავთ, მორთულ-მოკაზმული ქალი გეგონებოთ, ნამდვილად კი ლამაზი ფრინველი ვარ. საქართველოდან შორს ვცხოვრობ. ჩვენი ქვეყანა—ახალი გვინებია—კუნძულია დიდ ზღვაში, ძლიერ ლამაზი თბილი და ტყეებით დაფარული მთა-გორიანი ქვეყანაა. რა ხილველობა გინდათ, რომ იქ არ ხარობდეს: ლელვი, ბანანი, ინდის ხურმა, ფშატი; ქოქოსი და მრავალი სხვა. ჩვენც სწორედ ხილით, და ქია-ღუებით ვიკვ-

ბებიოთ. აქაურ მცხოვრებლებს—პაპუსებს ძლიერ ვუყვარვართ. პაპუსები ჩვენ ექვსფრთიან ლოფორს გვეძახიან; ექვსფრთიანს იმიტომ, რომ თავზე ექვსი ლამაზი ფრთის ჯილა გვადგას. ტანი შავი ფერისა გვაქვს, მაგრამ ჩვენი ბუმბული მზის შუქზე მრავალფერად ლივლივებს. ყელი და ჩიჩახვი მორთული გვაქვს ბრინჯაოს ფერი მოვლევარე ბუმბულით. შუბლი თეთრი ატლასივით გვიბრწყინავს კული, როგორც ხედავთ, კაბასავით გვაქვს დაშვებული და ფრენის დროს მარაოსავით ვშლით, წითელ ფეხებზე შავი რგოლები გვავლია.

ჩვენზე ხშირად ნადირობენ და რადგანაც გემრიელი ხორცი გვაქვს გვზოცავენ. ამას გარდა ქალები ჩვენ ფრთებს და ბუმბულს თავიანთი ქუდეების მოსაკაზმავად იყენებენ.

მხიარული ფრინველები ვართ, გვიყვარს ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრება, ცეკვა-თამაში, გალობა. ჩვენი გალობა თქვენებური ყვავის „გალობას“ ჰგავს. ყვავები ჩვენი მონათესავე ფრინველებია, მხოლოდ ყვავები ყვავა-ყვავას გაიძახიან ჩვენ კი—გვადგვადს. უნდა გამოვტყდეთ, რომ ხმა მაინცა და მაინც სასიამოვნო არ გვაქვს.

შვილებს მე და ჩემი მეგობარი დედა ლოფორი ერთად ვზრდით, უმთავრესად, რასაკვირველია, დედა უფლის. სდებს ორს ან ოთხ თეთრს ან ქრემს კვერცხს მაღალ ხეზე გაკეთებულ ბუდეში. ბუდის შენებაში რასაკვირველია მეც ვგებმარები. ორივეს გვიყვარს მზე, ანკარა წყალში ბანაობა და ჩვენი ლამაზი ბუმბულის ნისკარტით წმენდა და ვარცხნა.



ქათამაჩი ჩილაშვილი

ნახატი ვ. ჩიჩინაშვილით

„აფრინდა, აფრინდა“

— მეგობრებო, გინდათ ერთი თამაშობა გასწავლოთ?—მიმართა ვასიკომ ბავშვებს.

— გეინდა, გეინდა!—ახმაურდნენ პატარები და ვასიკოს გარს შემოგვიხეინენ.

— აბა, დასხედით და საჩვენებელი თითი მაგიდაზე დადეთ.

ბავშვები ასეც მოიქცნენ.

— მე დავასახელებ ან ფრინველს, ან ცხოველს, ან რაიმე საგანს, ვიტყვი სიტყვას „აფრინდა“ და თითს ავწეე მაღლა. თუ დასახელებული საგანი ფრინავს, თქვენც ასწევთ თითს, თუ არა დ—ვისაც შეეშლება წკიპურტით გვეუშასპინძლდები!

— გავიგეთ, გავიგეთ!—ერთხმად შესძახეს ბავშვებმა.

— ვიწყებ!—თქვა ვასიკომ და ეშმაკურად გადახედა სულგანაბულ მეგობრებს.

— აფრინდა, აფრინდა... ჩიტო აფრინდა!

— აფრინდა!—გაისმა ბავშვების წკრიალა ხმები და ერთდროულად ასწიეს თითი.

— აფრინდა, აფრინდა... ხე აფრინდა!

— აფრინდა...— გაიმეორეს ლევანმა და ნუნუმ.

— ხე როდის ფრინავს?—გაისმა აქეთ-იქიდან შეძახილი.

ლევანს და ნუნუს წკიპურტი მოხვდათ.

— აფრინდა, აფრინდა... გივი აფრინდა!—დაასახელა ვასიკომ მოთამაშე ბავშვთაგანი.

— აფრინდა!—წამოსცდა გოგის.

ის იყო, ვასიკო წკიპურტით უნდა გამასპინძლებოდა გოგის, რომ გივიმ შეაჩერა.

— გოგი მართალია, მე მფრინავი უნდა გამოვიდე!

გივის ნათქვამზე ბავშვებმა კრიამული ატეხეს,—გოგი წკიპურტს ვადაურჩა!

როცა სიცილით გული იჯერეს, ბავშვებმა მზიარულად განავრძეს თამაში.

პ ა ს უ ს ე ბ ი

ურნალ „ლილა“, № 4-ში მოთავსებულ გასართობისა:

ა მ მ ც ა ნ ა

დათოს მოკრეფილი ჰქონდა 8 სოკო.

ა მ მ ც ა ნ ი

სუთ ბუღეში იქნებოდა ოთხ-ოთხი ცალი ბუღეში—სამ-სამი კვერცხი.

ურნალ ლილა № 6-ში მოთავსებულ ამოცანისა: აივანზე დარჩა 5 ქილა.



მენავე იხვები

ნახატები ან. კანდელაკისა



1. მონარეზე იხვებს ნაით მეგობრები გადასყავდათ. მონარე მელომა მონდომა გაღმა ფასვლა. მივიდა და უთხრა: ვადამიყვანეთ, თორემ ვაი თქვენი ბრალოო!



2. მენავე იხვებმა შენიშნეს, რომ მელოს კალათით თავიანთი მეზობლის ქუჭულები მიჰყავდა. მელოა კი ფიქრობდა: ნაპირს რომ მივაღწევ, ამ იხვებსაც დაეიქერო!



3. ნაპირთან მელო ერთ-ერთ მენავეს ეკა. იხვი დაუსხლტა მელოს, ქუჭულებიან კალათში კისერი გაჰყო და გაფრინდა, მეორე მენავემ კი მსუნაგს თოფი წყალში გადაუგდო.



4. ნაეში დარჩენილი მელო თავებრში თათს იცემდა, მეგრამ რალს იზამდა. ბავშვებო, რა დაემართებოდა წუწყ მელოს?!

გდახე: „ზღვასთან“ ნახატი შ. ცხადაძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ მარგალიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ევ. ბურჯანაძე, გ. გრამაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაცვ. მრევალიძე, ნუწაფქუშვილი, შ. ცხადაძე.

ქ. ი. ლ. ა.—«железнодорожный детский журнал ЦК ЛОСМ ГРУЗИИ» № 7, Июль 1961 г. Тбилиси, Ленинна 14. Детизнадат Грузии
საბლტგამი. მედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის 14, მ. საბო. ოკრ. 8-87-88
გამომც. შუკვ. № 267 სტამბის შუკვ. № 785/1450 ტინაჟი 71/6 ვუ 02857 ტექსტი ახეობილა დ. პ. ბერბას სახელობის პოლიგრაფიკობინატიკო-
შუნოსტოკ სტამბაში. კურნალი დახვეტილია ოცხეტის სისტემის ჩანაწარზე ჯარია ენსტოკას სტამბაში: თბილისი, რუსთაველის ქროსი. № 48